საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი

ინჟინერიის, ტექნოლოგიების და აგრარული მეცნიერების მიმართულებით

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №2

ქ. ბათუმი 11.02.2020 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები

1. გია ბოლქვაძე - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (თავმჯდომარე);
2. მაყვალა ფრუიძე - ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტიეტი;
3. ავთანდილ მესხიძე - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (მოადგილე);
4. მაია ტუღუში - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასისტ. პროფესორი (მდივანი);
5. გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №01-02/215 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში ბსუ-ში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში ინჟინერიის, ტექნოლოგიების და აგრარული მეცნიერების მიმართულებით

1. წარმოდგენილი პროექტების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

მომხსენებელი მაია ტუღუში

მოისმინეს: მაია ტუღუშის ინფორმაცია წარმოდგენილი პროექტების შესახებ. 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში ინჟინერიის, ტექნოლოგიების და აგრარული მეცნიერების მიმართულებით შემოსულია 11 განაცხადი, მათ შორის ორი ახალგაზრდა მეცნიერის პროექტი.

პროექტების განხილვის შედეგად კომისიამ განცხადები შეაფასა შემდეგნაირად:

1. **ინდირა ჯაფარიძის** მიზრნობრივი საგრანტო პროექტი **„თაფლოვანი მცენარეების ყვავილის მტვრიანების და მათგან წარმოებული თაფლის, ყვავილის მტვერის ქიმიური და მიკროსკოპული ანალიზი“**

ძირითადი პერსონალი:

ა) ნონა აბაშიძე- დოქტორანტი

ბ) ნონა სურმანიძე - დოქტორანტი

დამხმარე პერსონალი:

ა)იამზე კეჟერაძე -მაგისტრანტი

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 20 000 (ოციათასი)ლარი;

პროეტში შრომის ანაზღაურება არის 6050 ლარი, მივლინება 450 ლარი, საქონელი და მომსახურება 3500 ლარი, ძირითადი აქტივები 10 000 ლარი.

საგრანტო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საშუალო ქულა - შეადგენს 79.25 ქულას.

2. **ზურაბ მიქელაძის** მიზნობრივი საგრანტო პროექტი **„აჭარის რეგიონში კულტივირებული ლურჯი მოცვის (V. Corymbosum), ბიოლოგიური და ქიმიური თავისებურებების შესწავლა განსხვავებული მიკროზონების პირობებში“**

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) ნუნუ კუტალაძე

ბ) მერაბ არძენაძე

გ)თამრიკო გოგოლიშვილი

დ) მერი ხახუტაიშვილი (დოქტორანტი)

დამხმარე პერსონალი:

ა) მიხეილ ლომიძე (ბაკალავრი)

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 20 000 ლარს, მათ შორის შრომის ანაზღაურება 8 000 ლარი, მივლინება 400 ლარი, საქონელი და მომსახურება 2400 ლარი და ძირითადი აქტივები 9200 ლარი.

საგრანტო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საშუალო ქულა - შეადგენს 76.75 ქულას.

3. **დავით ჩხაიძის** მიზნობრივი საგრანტო პროექტი „ნავთობური შლამის ინჰიბიტორული თვისებების შესწავლა ანტიკოროზიულ დანაფარებში გამოყენების მიზნით“

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) ურაბ მეგრელიშვილი

ბ) გიზო ფარცხალაძე

გ) მადონა ლორია

დამხმარე პერსონალი:

ა) ელიკო ვარშანიძე (ბაკალავრი)

ბ) მარიამ ბერიძე (მაგისტრანტი)

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19 950 ლარს, მათ შორის შრომის ანაზღაურება 4000 ლარი, მივლინება 3000 ლარი, საქონელი და მომსახურება 3200, ძირითადი აქტივები 9700. ბიუჯეტის საერთო ჯამი არ ემთხვევა წარმოდგენილ ციფრს. საგრანტო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საშუალო ქულა - შეადგენს 85 ქულას.

4. **გურამ პაპუნიძის** მიზნობრივი საგრანტო პროექტი **„არასტანდარტული**

მანდარინის კომპლექსური გამოყენებით ინოვაციური კვების პროდუქტების ტექნოლოგია“

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) ზურაბ მიქელაძე

ბ) ასლან დევაძე

გ) იამზე ჩხარტიშვილი

დ) სოფიო პაპუნიძე

ე)ნინო სეიდიშვილი

ვ) დოდო აბულაძე

დამხმარე პერსონალი:

ა) ციალა ბოლქვაძე

გ) მიხეილ ლომიძე (ბაკალავრი)

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 20 000 ლარს, მათ შორის შრომის ანაზღაურება 8000 ლარი, საქონელი და მომსახურება 2100ლარი, ძირითადი აქტივები 9900ლარი.

საგრანტო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საშუალო ქულა - შეადგენს 80.25 ქულას.

5. **გულნარა ვერულიძის** მიზნობრივი საგრანტო პროექტი **„მიკროგამრავლების ტექნოლოგიების ოპტიმიზაცია და მათი in vitro ბანკის შექმნა“**

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) გულნარა ვერულიძე

ბ) სოფიკო მანჯგალაძე

დამხმარე პერსონალი:

ა)ციალა ბოლქვაძე

ბ) დავით წილოსანი (ბაკალავრი)

გ) ცირა ფევაძე (ბაკალავრი)

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19880 ლარი, პროექტის ფარგლებში შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია 7700 ლარით, მივლინებისათვის გათვალისწინებულია 160 ლარი, საქონელი და მომსახურება 2220 ლარი, ძირითადი აქტივები 9800 ლარი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა და აღნიშნეს, რომ პროექტი შეეხება in-vitro მეთოდით საქართველოში არსებული საინტერესო სასოფლო-სამეურნეო კულტივარებისა და საძირეების გამრავლების მეთოდის დამუშავებას, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია დაავადებისაგან გასუფთავებული მიკრო მცენარეების ბანკის შექმნისათვის.

კომისიის წევრის ავთანდილ მესხიძის განმარტებით;

პროექტის ფარგლებში მოხდება სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი ნიშნით გამორჩეული დედა მცენარეების შერჩევა და მათი კლონირება, რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ სოკოვანი და ბაქტერიული ინფექციებისაგან გაჯანსაღებული ნერგები. შექმნილი in-vitro ბანკი საშუალებას მოგვცემს დროის მცირე მონაკვეთში დავამზადოთ ხარისხიანი სარგავი მასალა. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება პროექტის ავტორების მიერ მიკრომცენარეთა ზრდის სტიმულატორების ინოვაციური ტექნოლოგია - ინფრაწითელი ლაზერით დასხივება.

საგრანტო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საშუალო ქულა - შეადგენს 89.75 ქულას.

6. **ავთანდილ ციცნცქილაძე** მიზნობრივი საგრანტო პროექტი **„აჭარის თევზსაშენი ბასეინების წყლების დაბინძურების კვლევა და მათი დაწმენდის მეთოდებისა და რეკომენდაციების შემუშავება“**

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) ნინო მხეიძე

ბ) სვეტლანა მხეიძე

გ) ნინო ხარაზი

დ) ქეთევან ჯიბლაძე

დამხმარე პერსონალი:

ა) ანა ხახუტაიშვილი (მაგისტრანტი)

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 14050 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 3900ლარი, მივლინება 150 ლარი, საქონელი და მომსახურება 10 000 ლარი.

საგრანტო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საშუალო ქულა - შეადგენს 78 ქულას.

7. **მერაბ მამულაძის** მიზნობრივი საგრანტო პროექტი **„მცირე სიმძლავრის სათიბელას მოდერნიზაცია ახალი ტიპის მჭრელი აპარატის გამოყენებით“**

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) ვახტანგ ჯაყელი

ბ)დავით სარჯველაძე

დამხმარე პერსონალი:

ა) მარატ ბერიძე (ბაკალავრი)

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19475 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 7500 ლარი, მივლინება 4500 ლარი, საქონელი და მომსახურება 2985 ლარი, ძირითადი აქტივები 4490.

საგრანტო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საშუალო ქულა - შეადგენს 69 ქულას.

8. **გალინა მეფარიშვილის** მიზნობრივი საგრანტო პროექტი **„ ბიოპრეპარატების და ფუნგიციდების სკრინინგი თხილის ძირითადი დაავადებისაგან დასაცავად“**

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) ლამზირი გორგილაძე

ბ)სოსო მეფარიშვილი

გ) ნანი აფციაური

დამხმარე პერსონალი:

ა) რეზო ჯაბნიძე (ბაკალავრი)

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 20 000 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 8000 ლარი, საქონელი და მომსახურება 5800 ლარი, ძირითადი აქტივები 5900ლარი.

საგრანტო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საშუალო ქულა - შეადგენს 80.75 ქულას.

9. **ნარგიზ ალასანია** მიზნობრივი საგრანტო პროექტი **„კოლხური ბზის (Buxus colchica) თანამედროვე პროგრესული მეთოდით (in vitro) გამრავლების ეფექტურება განადგურებული ტერიტორიების შევსებად“.**

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) შოთა ლომინაძე
ბ) ნუნუ ნაკაშიძე
გ) დარეჯან ჯაში
დ) ლამზირა გორგილაძე
ე) ნარგული ასანიძე
ვ) სოფიკო მანჯგალაძე
ზ) ნოდარ ბერიძე

დამხმარე პერსონალი:

ა) ციალა ბოლქვაძე
ბ) გარსევან წილოსანი (ბაკალავრი)
გ) ზიზი წულუკიძე (ბაკალავრი)

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19580 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 7920 ლარი, საქონელი და მომსახურება 4100 ლარი, ძირითადი აქტივები 7600 ლარი. ბიუჯეტი შეუსაბამოა საკონკურსო დებულებასთან (მუხლი 8. პუნქტი2.), რის გამოც პროექტი მოიხსნა განხილვიდან.

ახალგაზრდა მეცნიერთა კონკურსზე წარმოდგენილია

10. **მირანდა ხაჯიშვილის** მიზნობრივი საგრანტო პროექტი **„რამდენიმე პოპულარული ქართული თეთრი ღვინის სახეობის ეტალონური მოდელების შექმნა ფლუორესცენციული მახასიათებლების მიხედვით."**

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) ნუგზარ ღომიძე
ბ) კახა მახარაძე

დამხმარე პერსონალი:

ა) ჯაბა შაინიძე (დოქტორანტი)

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 10 000ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 4000 ლარი, მივლინება 5000 ლარი, საქონელი და მომსახურება 1000 ლარი.

საგრანტო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საშუალო ქულა - შეადგენს 61,25 ქულას.

11. **ლიანა ქოიავა** მიზნობრივი საგრანტო პროექტი **„სტევიას ფოთლების ექსტრაქტების ფუნგიციდური და ბაქტერიოციდული აქტივობის შესწავლა ხელოვნურ ინფექციურ ფონზე *in vivo* პირობებში"**

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) მაკა მურადაშვილი
ბ) ნანა ჯაბნიძე
გ) რუსუდან დუმბაძე

დამხმარე პერსონალი:

ა)რუსლან დავითაძე
ბ) ზიზი წულუკიძე (ბაკალავრი)

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 10 000ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 4000 ლარი, საქონელი და მომსახურება 3900 ლარი, ძირითადი აქტივები 2100.

საგრანტო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საშუალო ქულა - შეადგენს 61.25 ქულას.

დაადგინეს:

კომისიის წევრების კენჭისყრის შედეგად ბსუ-ს 2020 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულად ინჟინერიის, ტექნოლოგიების და აგრარული მეცნიერების მიმართულებით ერთხმად გამოვლინდა გულნარა ვერულიძის მიერ წარმოდგენილი პროექტი «მიკროგამრავლების ტექნოლოგიების ოპტიმიზაცია და მათი in vitro ბანკის შექმნა» რომელმაც კომისიის მიერ მიიღო შეფასება 89.75 ქულა.

ახალგაზრდა მეცნიერთა შესარჩევ კონკურსში არ იქნა გამარჯვებული გამოვლენილი, რადგან ორივე განაცხადზე ქულები და კენჭისყრის შედეგები ერთნაირია.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: **გია ბოლქვაძე**

მდივანი: **მაია ტულუში**